ფონდი „სოხუმის“

საგანგებო ანგარიში

„გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტის დაუსაბუთებელმა და გაუფრთხილებელმა მოხსნამ საფრთხე შეუქმნა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე“

05.07.2021

ფონდი „სოხუმი“

ვინ ვართ ჩვენ და რას ვსაქმიანობთ

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ დევნილ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1997 წლიდან აქტიურად მუშაობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ქმედითი მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულებით. ფონდი „სოხუმი“, კონფლიქტის გამყოფ ხაზთან შექმნილი საინიციატივო ჯგუფების მეშვეობით, უწყვეტად ეწევა დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლას და აფასებს მათი ადამიანური უსაფრთხოების ხარისხს გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით. ფონდი „სოხუმის“ მიერ იდენტიფიცირებული ყველა მიგნება გამოიყენება, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და მათი ოჯახების ინტერესების ადვოკატირებისთვის, როგორც ადგილობრივ, ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

2020-2021 წლებში წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსებაზე გაუფრთხილებელმა და დაუსაბუთებელმა უარმა მათ და მათ ოჯახებს უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა შეუქმნა.[1]

ფონდი „სოხუმის" სწრაფი მოკვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად[2], 2020-2021 სასწავლო წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის ფარგლებში,[3] სტუდენტური სასწავლო გრანტით დაფინანსებას არ დაექვემდებარა **წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში,** გამყოფ ზოლში მცხოვრები შემდეგი რაოდენობის სტუდენტი:

- **წალენჯიხის მუნიციპალიტეტი:** 2020 წელს, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთაგან „სასწავლო გრანტით" არ დაფინანსდა სოფ. ფახულანში 8 სტუდენტი; სოფ. ლიაში - 7; წყოუშში - 2 (აქედან ერთი სტუდენტი სოფ. საბერიოდან - ოკუპირებული ტერიტორია); სოფ. ჭალეში - 5 სტუდენტი (სულ 22 სტუდენტი). 2021 წელს 26 აბიტურიენტს სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, თუმცა მათი სწავლის დაფინანსების საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.[4]
- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:** 2020 წელს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთაგან „სასწავლო გრანტით" არ დაფინანსდა სოფ. კოკში - 5 სტუდენტიდან 4 სტუდენტი (აქედან 2 სტუდენტმა, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო/იმიტომ, რომ ვერ შეძლო სწავლის საფასურის დაფარვა,

---

1 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის ბრძანება, „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების 2020-2021 წლებში სწავლის დაფინანსების შესახებ", პროგრამის დამტკიცების შესახებ #MES 6210000138493, 19.02.21

2 ინდივიდუალური ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა ფახულანში, წყოუშში, ლიაში, კოკში, შამგონაში, ახალაბასთუმანში, ორსანტიაში მცხოვრები სტუდენტები და მათი მშობლები, ასევე საჯარო სკოლის მასწავლებლები (16.06.21-18.06.21)

3 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის ბრძანება, „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების 2020-2021 წლებში სწავლის დაფინანსების შესახებ", პროგრამის დამტკიცების შესახებ #MES 6210000138493, 19.02.21, (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

4 ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკა არ ასახავს სოფელ მუჟავაში მცხოვრები სტუდენტების/აბიტურიენტების რაოდენობას

აკადემიური წელი აიღო); სოფ. შამგონაში - 7 სტუდენტიდან არცერთი (რომელთაგან სამი სტუდენტი მოხვდა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ ე.წ. უფასო ფაკულტეტზე); სოფ. ორსანტიაში - 13 სტუდენტიდან 12 სტუდენტი; სოფ. განმუხურში - 9 სტუდენტიდან არცერთი; სოფ. ტყაიაში - 4 სტუდენტიდან არცერთი; სოფ. ახალაბასთუმანში - 14 სტუდენტიდან 10 სტუდენტი.[5] **სულ სასწავლო სტუდენტური გრანტის გარეშე დარჩა 46 სტუდენტი.**

გამყოფი ზოლის სოფლების სტუდენტების დაფინანსების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული გამოცდების წინა პერიოდში, რაც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს.

მოსახლეობა, რომელიც უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევას უპირისპირდება, განსაკუთრებით Covid-19 პანდემიის პირობებში, როგორც არასდროს, საჭიროებს დამატებით დახმარებას და მხარდაჭერას. **ხელისუფლების მხრიდან, გამყოფ ზოლში მდებარე ცალკეულ სოფელში მცხოვრები სტუდენტებისთვის** სასწავლო გრანტებით დაფინანსებაზე უარის თქმამ ოჯახები ძალიან მძიმე ფინანსური გამოწვევის წინაშე დააყენა და **მნიშვნელოვნად შეაფერხა კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა უმაღლესი განათლებისადმი.**

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მოსახლეობაში წარმოშვა ეჭვი, რომ მათ სოფლებს „გამყოფი ზოლის სოფლის სტატუსი“ მოუხსნეს. თუმცა, ოფიციალური ინფორმაციით დადგინდა, რომ სტატუსის მოხსნის საკითხი დღემდე არცერთი სოფლისთვის არ დამდგარა. შესაბამისად, „სტატუსს“ ინარჩუნებს ყველა აქამდე „გამყოფი ზოლის სტატუსის“ მქონე სოფელი.[6] მოსახლეობისთვის კი კვლავ უცნობია, თუ რა **მიზეზით და რის საფუძველზე ეთქვათ უარი 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო გრანტის დაფინანსებაზე იმ სოფლებში მცხოვრებ სტუდენტებს, რომლებშიც აქამდე სასწავლო გრანტით ფინანსდებოდნენ.**

სასწავლო გრანტით დაფინანსების მოხსნამ სტუდენტებს და მათ ოჯახებს შემდეგი ხასიათის პრობლემები შეუქმნა:

---

5 ფონდი „სოხუმის“ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, დაფინანსდნენ მხოლოდ სოფ. რიყეში, ხურჩაში და რუხში მცხოვრები სტუდენტები.

6 საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი: „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის 2013 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის N257 დადგენილებით შეიქმნა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელიც დღემდე ახორციელებს უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციას. აღნიშნული კომისიის არცერთ სხდომაზე არ დამდგარა რომელიმე სოფლისთვის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სტატუსის მოხსნის საკითხი. შესაბამისად, კომისიას არცერთი სოფლისთვის სტატუსი არ მოუხსნია.“

- იმის გამო, რომ ვერ შეძლო გადასახადის დაფარვა, ჩარიცხულ სტუდენტთა ნაწილი **სწავლის შეწყვეტის რისკის წინაშე** დადგა, ზოგიერთ მათგანს მოუწია **აკადემიური წლის აღება;**

- ცალკეული სტუდენტების ოჯახები იძულებულნი გახდნენ, **აეღოთ სესხი**, რაც მძიმე ფინანსურ გამოწვევად იქცა მათთვის;

- **შემცირდა სტუდენტების მოტივაცია, ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში**, რადგან სრული დაფინანსების მიუღებლობის შემთხვევაში, სწავლის გადასახადი, ბინის ქირის, საკვების და ტრანსპორტის დამატებით გადასახადთან ერთად, საკმაოდ მძიმე და გაუმკლავებელ ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენს ოჯახებისთვის;

- სწავლის საფასურის დასაფარად დამატებითი რესურსის მოძიების საჭიროებამ გაზარდა **საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ქალთა შრომითი მიგრაცია,** რამაც ოჯახების გაყოფა გამოიწვია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები

სტუდენტური სასწავლო გრანტებით დაკმაყოფილებაზე ფახულანის, ლიის, მუჟავას და ჭალეს სოფლებთან ერთად უარი ეთქვათ **სოფელ წყოუშში** მცხოვრებ ახალგაზრდებსაც[7]. მოსახლეობის ცნობით, 2020-2021 აკადემიურ წლებში სოფელ წყოუშში მცხოვრებ სტუდენტებს სასწავლო გრანტით დაფინანსებაზე უარი იმ მიზეზით ეთქვათ, რომ სტუდენტებმა ფახულანის ან ლიის საჯარო სკოლების ატესტატები წარადგინეს (სოფლები, რომელთა სკოლადამთავრებული არცერთი სტუდენტი არ დაექვემდებარა დაფინანსებას). გასათვალისწინებელია, რომ წყოუშის სკოლაში მხოლოდ 9 საფეხურიანი განათლებაა, რაც გარდაუვალს ხდის მოსწავლეების მხრიდან სწავლის გაგრძელებას და დამთავრებას ფახულანის ან ლიის სკოლებში. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ პროგრამის მე-5 მუხლის

7 სოფელი წყოუში კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფელია - ფახულანი-წყოუში, რომლის ბოლოში საბერიო-ფახულანის ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი მდებარეობს.

მე-3 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად - *„სტუდენტები, რომლებიც 2020-2021 სასწავლო წელს პირველად ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში, დაფინანსებას მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო სამი წელი ისწავლეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებში ან შესაბამისი საფეხურის არარსებობის გამო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლებების სკოლებში“.*[8] შესაბამისად, არ არსებობდა სოფელ წყოუშში მცხოვრები სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსებაზე უარის თქმის არანაირი საფუძველი.

მუჟავას და ჭალეს მაგალითზე დადგინდა სტუდენტური გრანტებით **სტუდენტების დაფინანსების საკმაოდ უცნაური პრაქტიკა**, რომლის დროსაც დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო უწყებები ხელმძღვანელობდნენ გამყოფი ზოლის სოფლებში, სტუდენტების კონკრეტულ უბნებში საცხოვრებელი ადგილებით. მაგალითად, **მუჟავაში სასწავლო გრანტით დაფინანსდნენ მხოლოდ ნაშანგუს და ოლორის უბნებში**[9] **მცხოვრები სტუდენტები,** ხოლო მუჟავას საჯარო სკოლის კურსდამთავრებული სხვა უბნებში მცხოვრები სტუდენტები - არა. ასევე, **ჭალეს მაგალითზე, დაფინანსებას დაექვემდებარნენ მხოლოდ ეწერქედის უბანში მცხოვრები სტუდენტები.** ხელისუფლების მხრიდან **არ მომხდარა მოსახლეობისთვის იმის ახსნა-განმარტება,** თუ რომელი კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე გადაწყდა გამყოფი ზოლის ერთ სოფელში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების საკითხი მათი უბნებისადმი კუთვნილების მიხედვით.

სტუდენტური გრანტებით დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მნიშვნელოვნად აქვეითებს გამყოფ ზოლში მცხოვრები **სტუდენტების მოტივაციას, სცადონ** უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩაბარება, რადგან უამრავი ფაქტორის გათვალისწინებით, წინასწარ იციან, რომ, 100%-იანი გრანტის მიუღებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დამატებითი თანხა მათთვის და მათი ოჯახებისთვის უმძიმეს ფინანსურ ტვირთად იქცევა. ყოველივე ეს არა მარტო აფერხებს ახალგაზრდების სწრაფვას განათლებისაკენ, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში **ხელს უშლის სოფლებში მეტი განათლებული ადამიანური კაპიტალის შექმნას და ამცირებს გამყოფი ზოლის სოფლების განვითარებას -**

> ***„ძალიან უნდა, სწავლა გააგრძელოს ჩემს შვილს, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ მოიპოვებს სრული დაფინანსებით გრანტს... ჩვენ არანაირი შესაძლებლობა არ გვაქვს, დავეხმაროთ... ალბათ არც ცდის უმაღლესში ჩაბარებას, ვერაფრით შევინახავთ სხვა ქალაქში და სწავლის გადასახადზე ხომ ზედმეტია საუბარი“ (მშობელი, ფახულანი).***

---

8 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ 2020-2021 წლების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

9 კონფლიქტის გამყოფ ზოლთან ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარე უბნები.

„დიდი შვება იქნებოდა ჩემთვის გრანტი, იქნებ 100-პროცენტიან გრანტს ვერ გამოჰკრას ხელი ჩემმა შვილმა... გადასახადის გარდა რამდენი რაღაც სჭირდება სტუდენტს. მე ვიმუშავებო, მეუბნება შვილი, მაგრამ სტუდენტისთვის სწავლა დიდ დროს მოითხოვს და ეს შეიძლება აისახოს მისი განათლების ხარისხზე“ (მშობელი, წყოუში).

სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და სხვადასხვა გზებით შესძლეს პირველი სემესტრის სწავლის საფასურის დაფარვა, **სწავლის შეწყვეტის რისკის წინაშე არიან -**

„უნივერსიტეტში შემექმნა პრობლემა... ტყუილად ველოდი დაფინანსებას. ძლივს შევაკოწიწეთ ოჯახში გადასახადის ნაწილი პირველი სემესტრისთვის... ახლა არ ვიცი, როგორ გადავიხადო დანარჩენი, რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით მთელი ოჯახი, რადგან ჩემს მშობლებს ჩემი ფინანსურად დახმარების შესაძლებლობა არ აქვთ...“ (სტუდენტი, ფახულანი).

„ჩემი შვილი ალბათ სწავლას ვერ დაიწყებდა, პრემიერ-მინისტრის პროგრამას რომ არ დაეფინანსებინა პირველი სემესტრი... მეორე სემესტრი ჯერ გადახდილი არ გვაქვს, უნივერსიტეტმა გამოცდების დასრულებამდე გადაუვადა გადასახადი... ჩვენც არ ვიცით, როგორ შევეშველოთ... მოგვიწევს თხილის წინასწარ გაყიდვა, მაგრამ არც ვიცით წინასწარ, როგორ მოსავალს მოგვცემს... თხილის მოსავალი სულ უფრო ნაკლებია ბოლო წლებში. ჩემი შვილი ღამის თევით მუშაობს მარკეტში, გზის და საჭმლის ფული რომ გამოიმუშავოს... ეს ყველაფერი ხომ აისახება ბავშვების მოსწრებაზე, ნუთუ ამაზე არავინ ფიქრობს?! ჩვენ ხშირად ვხედავთ უგულებელყოფილ ბავშვებს... ჩემი შვილი ვერც წარმოიდგენს, რომ შეიძლება სწავლა მიატოვოს... თუმცა დიდი რისკი არსებობს ამის“ (მშობელი, ფახულანი).

ახალგაზრდებისთვის სწავლის საფასურის გადახდაზე უარის თქმამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გამყოფი ზოლის სოფლებში **შრომითი მიგრაციის ზრდას და ოჯახების გაყოფას**. მოსახლეობის თქმით, საკმაოდ იმატა გამყოფი ზოლის სოფლებიდან **ქალების შრომითმა მიგრაციამ** საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით, რაც დიდწილად უკავშირდება, დამატებითი თანხის მობილიზებას შვილების სწავლისთვის -

„ძალიან ბევრი ქალი გავიდა საზღვარგარეთ ბოლო წლებში... ბავშვებს მამები ზრდიან. დედები კი იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენენ და ასწავლიან შვილებს... ვინც საზღვარგარეთ ვერ მიდის, დიდ ქალაქებში გადის“ (პედაგოგი, წყოუში).

„სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, სადმე უნდა წავიდე, მაგრამ ვფიქრობ, როგორ დავტოვო სამი შვილი ოჯახში... მეშინია, მთლად კალაპოტიდან არ ამომივარდეს ბავშვები... ჩემი ბიჭი უკვე მეთერთმეტეკლასელია, ეს დაფინანსება დიდი იმედი და შვება იქნებოდა ჩვენთვის, უამრავი საფიქრალი გვაქვს წინ...“ (მშობელი, ლია).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, გამყოფი ზოლის სოფლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ **რა მიზეზით ეთქვა უარი დაფინანსებაზე იმ სოფლებში მცხოვრებ სტუდენტებს, რომლებშიც აქამდე აღნიშნული სასწავლო გრანტით ფინანსდებოდნენ**. მათთვის ასევე უცნობია, თუ რის საფუძველზე მოხდა გამყოფ ზოლში მდებარე 9 სოფლიდან[10] 3 სოფლის - რუხის, რიყეს და ხურჩას გამოყოფა და 2020-2021 წლებში სასწავლო გრანტებით მხოლოდ ამ სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაკმაყოფილება.

დაფინანსების გარეშე დარჩენილი სტუდენტების მშობლები აღნიშნავდნენ, რომ 2020 წელს მათი შვილებისთვის დაფინანსებაზე უარის თქმის ერთ-ერი დეკლარირებული საფუძველი **ეროვნულ გამოცდებზე მიღებული დაბალი ქულა იყო,** რასაც მშობლები არასამართლიანად და გაუმართლებლად მიიჩნევენ, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როდესაც მოსწავლეებს უკიდურესად შეეზღუდათ ხარისხიან განათლებაზე წვდომა, სოფლებში ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემის, შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობის არქონის და ზოგადად სოფლებში გართულებული დისტანციური სასწავლო პროცესის გამო -

> ***„ჩემმა შვილმა 2020 წელს დაამთავრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმანის საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახალაბასთუმანი კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელია და ამ სტატუსით მისი სკოლადამთავრებული სტუდენტები სრულად (2250 ლარით) ფინანსდებოდნენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. აქედან გამომდინარე, ჩვენც ველოდებოდით დაფინანსებას. როგორც წინა წლებში ხდებოდა, სტუდენტი პირველი სასწავლო წლის პირველ სემესტრამდე იხდიდა თანხას უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გაწერილი გრაფიკის მიხედვით, დეკემბრის ბოლო რიცხვებში სახელმწიფო ურიცხავდა უნივერსიტეტს თანხას, სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა კი უბრუნდებოდა მას პირად ანგარიშზე. სწორედ ამ მოლოდინში ვიყავით ჩვენც, გადახდილი გვქონდა 1125 ლარი, რომლის მობრუნებას ველოდით 25-28 დეკემბერს. სამწუხაროდ, 21 დეკემბერს მოგვივიდა ტელეფონზე განათლების სამინისტროს შეტყობინე-***

10 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ზოლის სოფლები: ორსანტია, განმუხური, შამგონა, ახალაბასთუმანი, რუხი, ხურჩა, რიყე, ტყაია და კოკი

ბა, სადაც ეწერა, რომ დაბალი საგრანტო ქულების გამო მისი დაფინასება არ მოხდებოდა. მსგავსი შეტყობინება მიიღო მისმა 13-მა კლასელმა. ეს ჩემი შვილისთვის და ჩემი ოჯახის ბიუჯეტისთვის პანდემიის პერიოდში უმძიმეს ტვირთად და პრობლემად იქცა“ (სტუდენტის მშობელი, ახალაბასთუმანი).

„კონფლიქტის საზღვრისპირა სოფლების მოსწავლეების შერჩევა არ უნდა იყოს კრიტერიუმების მიხედვით. წლები ხდებოდა დაფინანსება და წელს, როცა ყველაზე მეტად უჭირდათ ბავშვებს განათლების მიღება და, პირიქით, მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდათ, მიატოვეს... ახალი საზრუნავი და თავსატეხი გაუჩინეს ოჯახებსაც და ბავშვებსაც“ (პედაგოგი, ორსანტია).

მშობლები ხაზს უსვამდნენ, რომ **გაუმართლებელია მსგავსი გადაწყვეტილების გაუფრთხილებლად მიღება, მოსახლეობის წინასწარ ინფორმირების გარეშე,** განსაკუთრებით მაშინ, როცა წარსულში არსებობდა გამყოფ ზოლში ცხრავე სოფლის სტუდენტების დაფინანსების პრაქტიკა. სტუდენტების მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ოჯახებს, რომელთაც დაფინანსების იმედი ჰქონდათ, მოუწიათ **სესხის აღება** იმის მოლოდინით, რომ პირველი სემესტრის ბოლოს თანხა დაუბრუნდებოდათ. დაფინანსებაზე უარით კი მათ მძიმე ფინანსური ტვირთი დააწვათ მხრებზე -

„ამ რეალობის მიღება ჩემი ოჯახისთვის ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად ძალიან რთული აღმოჩნდა. ვარ სამი შვილის დედა, შვილების საჭიროებებზე მხოლოდ მე მიწევს ზრუნვა. სწავლის საფასურის დასაფარად მომიწია სესხის აღება და გადასახადის დაფარვა, იმის იმედით, რომ დეკემბერში თანხა უკან დამიბრუნდებოდა. თავიდანვე როცა იცი, რომ მხოლოდ შენს ბიუჯეტზეა დამოკიდებული განათლების მიღება, სხვანაირად შეიძლება გათვალო საკუთარი რესურსები და შესაძლებლობები. დღეს სასწავლო გრანტზე უარის თქმა ჩემი ოჯახის ბიუჯეტისთვის, რომელიც პანდემიის პერიოდში 10-ჯერ შემცირდა, დამანგრეველი აღმოჩნდა“ (მშობელი, ახალაბასთუმანი).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ზოლის სოფლების მცხოვრებლები ასევე მიუთითებენ **საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის ზრდაზე, განსაკუთრებით ქალების მხრიდან** -

„სტუდენტი შვილისთვის სწავლის გადასახადის დასაფარად მოუწია ახალგაზრდა, ორი მცირეწლოვანი შვილის დედას იტალიაში წასვლა... მსოფლიოში დღეს ყველგან კრიზისია და მასაც უჭირს ისეთი ანაზღაურების მიღება, რომ სწავლის თანხაც დაუფაროს შვილს და ქალაქში ცხოვრების ხარჯებიც. ბინის ქირა, საკვები, განა ცოტაა? ვერ გაუმკლავდა ამდენ ხარჯს და მოუწია მის სტუდენტ შვილს აკადემიური წლის აღება, ხვალ რა ელის, ვინ იცის“... (პედაგოგი, კოკი).

სწავლის საფასურის გადახდის სირთულეების გამო სტუდენტებს **მოუწიათ აკადემიური წლის აღება,** რადგან ოჯახებისთვის სწავლის გადასახადთან ერთად, ქალაქ-

ში ბინის ქირის, საკვების და ტრანსპორტის გადასახადის დაფარვა საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს -

> *„პანდემიის დროს თითოეულ სტუდენტს, რომელიც ცხოვრობს გამყოფ ხაზთან, ამ პერიოდში უფრო უნდა ჰქონოდა შეღავათი და არ უნდა ეფიქრათ პროგრამის შემცირებაზე... არიან ოჯახები, რომელთაც მოუწიათ აკადემიურის აღება, იმიტომ რომ ვერ გადაიხადეს გადასახადი, სწავლის გადასახადს ემატება ბინის ქირა, საკვები, ტრანსპორტი... როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემების გაუთვალისწინებლობა?!“ (პედაგოგი, შამგონა).*

ნათელია, რომ კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტების გაუფრთხილებელმა მოხსნამ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა და მათი რთული ყოფა კიდევ უფრო დაამძიმა. მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დაუყოვნებლივ გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- ✓ შესწავლილ იქნას **„სტუდენტური სასწავლო გრანტების“ მოხსნით გამოწვეული ნეგატიური შედეგები სტუდენტებსა და მათ ოჯახებზე და შეფასდეს გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და მართებულობა;**
- ✓ **დაუყოვნებლივ აღდგეს ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში** ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებული სტუდენტების **„სასწავლო გრანტებით“** დაფინანსება, მათ შორის **წყოუშში, პალურში, საბერიოში** მცხოვრები სტუდენტებისა;
- ✓ მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრების და კომუნიკაციის გზით, მათთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, თუ რა მიზეზით და რის საფუძველზე მოეხსნათ სტუდენტებს 2020-2021 წლებში „სასწავლო გრანტებით“ დაფინანსება.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

საგანგებო ანგარიშის ავტორი

ეკატერინე გამახარია

(ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი)

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:

მარიკა მეგრელიძე

(სოფელ ფახულანი-წყოუშში ფონდი „სოხუმის“
ქალთა მხარდაჭერის ცენტრის წარმომადგენელი)

თეა გოლეთიანი

(ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის და ადვოკატირების ჯგუფის წევრი)

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com;

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/